



ENPARD: A European Union Programme supporting Agriculture and Rural Development



ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ ანგარიში

სოფლის მეურნეობის
კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (ACDA)
შესაძლებლობების განვითარება

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ
ევროპის სამეზობლო პროგრამა
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD)
ევროპის დახმარება/136454/DH/SER/GE

<p>პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები:</p>   	<p>ექსპერტი</p> <p>თემურ ჭელიძე</p>
---	-------------------------------------

იანვარი 2017

წერილობითი უარი პასუხისმგებლობაზე

“წინამდებარე ანგარიში მომზადდა ევროკომისიის ფინანსური დახმარებით. ამ ანგარიშში გამოხატული შეხედულებები ეკუთვნის კონსულტანტს და შეიძლება არ ასახავდეს ევროკომისიის შეხედულებებს”

აბრევიატურები და აკრონიმები

STTA	მოკლევადიანი ტექნიკური დახმარება
FI	ფინანსური ინსტიტუტი
ENPARD	ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის
BoG	საქართველოს ბანკი
TA	ტექნიკური დახმარება

სარჩევი

აბრევიატურები და აკრონიმები.....	2
შეჯამება	4
დასკვნები და რეკომენდაციები	4
კოოპერატივ ნიკოზის პროცესის აღწერა.....	5
კოოპერატივ ნიკოზის პროფილი	6
ბიზნეს აღწერილობა	6
მართვის გამოცდილება.....	6
მარკეტინგი და კონკურენტუნარიანობა.....	6
კრედიტის დანიშნულება.....	7
უზრუნველყოფილი STTA(მოკლევადიანი ტექნიკური დახმარება).....	7
დანართების ჩამონათვალი	8
დანართი 1: საფინანსო აპლიკაციებისადმი ხელმისაწვდომობა	8
დანართი 2: საკრედიტო შეთანხმება_ნიკოზი	8
დანართი 3: შუალედური ანგარიშები	8
დანართი 4: ბიზნეს პროექტის ფორმა	8

შეჯამება

3.5- ხელის შეწყობა სოფლის-მეურნეობის კოოპერატივების მდგრად კავშირების დამყარებას ბაზრის მოთამაშებთან და ფინანსური სერვისების მიმწოდებლებთან- აქტივობის შესაბამისად პროექტმა დადო ხელშეკრულება მოკლე ვადიან კონსულტანტთან ბატონ თემურ ჭელიძესთან ამ დავალების შესრულების მიზნით.

ანგარიში პერიოდის (სექტემბერი 2016-მარტი 2017) განმავლობაში ექსპერტმა გადახედა 19 აპლიკაციას. წინას სელექციის და გასაუბრებების პროცესების შემდგომ, რომლებიც ჩატერებულ იქნა სექტემბერში-ოქტომბერში 2016 (იხილეთ დანართები 1-3, სადაც მოყვანილია აპლიკაციების შედეგები, სკრინინგი და შორტლისტი) მხოლოდ ერთი კოოპერატივი იქნა შერჩეული მომდევნო დახმარებისთვის და მხარდაჭერისთვის. კონსულტანტმა დაიწყო დახმარების გაწევა შერჩეულ კოოპერატივ ნიკოზისათვის 2016 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან. ამ STTA (მოკლევადიანი ტექნიკური დახმარება) შედიოდა: საკრედიტო აპლიკაციის დამუშავება, რომელიც მომზადებული იყო პროექტის მიერ და შევსებული იყო კოოპერატივის მიერ, გასაუბრება, ადგილმდებარეობის დათვალიერება, საფინანსო ანალიზი, კრედიტის რეგულირება, საფინანსო ინსტიტუტის შერჩევა და საკრედიტო აპლიკაცია. 2016 წლის ნოემბერში, საქართველოს ბანკმა დაამტკიცა საკრედიტო აპლიკაცია და ხელი მოაწერა საკრედიტო შეთანხმებას ნიკოზის კოოპერატივთან (დანართი 2). გაწეული STTA(მოკლევადიანი ტექნიკური დახმარების) დეტალური აღწერილობა მოყვანილია ქვემოთ.

ბოლოს და ბოლოს APMA-ს (სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს) იაფი სესხის პროგრამა იქნა დამტკიცებული და 2016 წლის 15 ნოემბერს კოოპერატივმა მოიპოვა საჭირო დაფინანსება.

დასკვნები და რეკომენდაციები

იმის მიუხედავად, რომ ACDA-ში დარეგისტრირებული კოოპერატივების უმეტესობას სურს დაფინანსების მოპოვება და პირად საუბრებში ისინი ყოველთვის უჩივიან ფინანსური საჭიროებებისადმი ხელმისაწვდომობას, მათგან მხოლოდ 1.5%-მა შეავსო საკრედიტო დახმარების განაცხადი.

აპლიკანტების უმეტესობას ჰქონდა არარეალური ხელმისაწვდომობა საფინანსო საჭიროებებისადმი.

მხოლოდ ერთ კოოპერატივს (ნიკოზის) 20 აპლიკანტიდან ჰქონდა აღრიცხვიანობის სისტემა დეტალური ბალანსის ფურცელით და მოგების წაგების მონაცემების განხილვის შესაძლებლობა.

20 აპლიკანტიდან მხოლოდ ერთ კოოპერატივს (ნიკოზის) ჰქონდათ დეტალური წარმოების და გაყიდვების პროგნოზები შემდგომი 2 წლისთვის. არცერთ მათგანს არ ჰქონდათ დეტალური ბიზნეს გეგმები და საფინანსო პროგნოზები (გამონაკლისი არის კოოპერატივი ნიკოზი, რომელსაც არ ჰქონდა ბიზნეს გეგმა მაგრამ მათ იცოდნენ თუ რას აკეთებდნენ და დეტალურად აღწერეს დაგეგმილი აქტივობები).

რეკომენდირებულია აღმოუჩინოთ დახმარება კოოპერატივებს ბიზნეს დაგეგმვის და საფინანსო პროგნოზების დარგებში. რეგისტრირებულ კოოპერატივებს უნდა ჰქონდეთ მარტივი გეგმები (საფინანსო პროგნოზების ჩათვლით) საფინანსო ინსტიტუტებისათვის და სამიზნე პროგრამებისათვის წარსადგენად.

რეკომენდირებულია დახმარება აღმოუჩინოთ კოოპერატივებს აღრიცხვიანობის და საბუღალტრო დარგებში შემოსავლების სამსახურის საიტზე დარეგისტრირების ჩათვლით. მათ ესაჭიროებათ როგორც მინიმუმი ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ბუღალტრები, რომლებიც დაეხმარებიან ბალანსის ფურცლების და წაგება მოგების ანგარიშების წარმოებაში, ყოველთვიური და ყოველწლიური დეკლარაციების შევსებაში საშემოსავლო სამსახურისთვის და კონსოლიდირებული ანგარიშების მომზადებაში საფინანსო ინსტიტუტებისათვის (ბანკები, მიკროსაფინანსო და სალიზინგო კომპანიები). ისინი აგრეთვე დაეხმარებიან კოოპერატივებს სხვა საბუღალტრო და ფინანსურ დოკუმენტების მომზადებაში. ეს ბუღალტრები შესაძლებელია იყვნენ კოოპერატივის წევრები თუ მათ გააჩნიათ ცოდნა და გამოცდილება საბუღალტრო საქმეში და საფინანსო მართვის დარგში.

კოოპერატივ ნიკოზის პროცესის აღწერა

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კონსულტანტმა ბატონმა თემურ ჭელიძემ ევოლუქსერთან ერთად შეიმუშავეს სააპლიკაციო ფორმა კოოპერატივებისათვის იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოს მათ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის დარგში. ეს აპლიკაციის ფორმა გაზიარებული იქნა ACDA-ს მიერ ყველა დარეგისტრირებულ კოოპერატივთან (1500-მდე კოოპერატივმა მიიღო ოფიციალური წერილი ელ-ფოსტის მეშვეობით, რომელშიც თანდართული იყო სააპლიკაციო ფორმა). 20-მა კოოპერატივმა შეავსო სააპლიკაციო ფორმები და დაუბრუნა ACDA-ს შემდგომი განხილვისათვის (იხილეთ დანართი 1). ACDA-მ გაუზიარა ეს 20 შევსებული აპლიკაცია ევოლუქსერს. ეს აპლიკაციები აგრეთვე გადაუგზავნეს მოკლე ვადიან კონსულტანტს ბატონ თემურ ჭელიძეს.

STTA (მოკლევადიანი ტექნიკური დახმარების) კონსულტანტი ბატონი თემურ ჭელიძე გაატარა ეს აპლიკაციები სკრინინგის ქვეშ და დაუკავშირდა აპლიკანტებს დამატებითი დამხმარე მონაცემების მოპოვების მიზნით. საბოლოო სკრინინგის და ანალიზის შემდგომ (იხილეთ დანართი 3 შუალედური ანგარიშები) მხოლოდ ერთი კოოპერატივი იყო შერჩეული. ამ კოოპერატივს გააჩნდა დეტალური ბიზნეს გეგმა, სათანადო საბუღალტრო სამსახური, და აგრეთვე კრედიტის მისაღებად საჭირო უზრუნველყოფა.

მოკლე ვადიან კონსულტანტმა მოამზადა კოოპერატივ ნიკოზის დეტალური აღწერა. ის მუშაობდა კოოპერატივის დირექტორთან ბატონ გიორგი მჭედლიძესთან ერთად და მთავარ ბუღალტერთან ქალბატონ ლალი შუბიტიძესთან ერთად იმისათვის, რომ შეემუშავა დეტალური და რეალური საკრედიტო აპლიკაცია საქართველოს ბანკისთვის. ის აგრეთვე თან ახლდა კოოპერატივის წარმომადგენლებს, როდესაც ისინი ეწვივნენ საქართველოს ბანკის გორის ფილიალს იმისათვის, რომ შეხვედრილიყვნენ და განეხილათ სხვა და სხვა საკითხები საკრედიტო ოფიცერთან.

კოოპერატივ ნიკოზის პროფილი

ბიზნეს აღწერილობა

კოოპერატივ ნიკოზის საქმიანობა არის ნერგების წარმოება. ისინი აწარმოებენ ჩანდლერის ნიგოზს და ნუშის ნერგებს. დამატებით, კოოპერატივი აწარმოებს ქართული ჯიშის ქლიავის და შინდის ნერგებს.

ისინი იყენებენ გადანერგვის მეთოდს ძლიერ საძირეებზე, რომლებიც მათ ძირითადად შემოაქვთ იტალიიდან.

კოოპერატივი დაარსდა 2013 წელს 13 წევრის მიერ. ოფიციალური იურიდიული სტატუსის მიღებული იყო 2014 წლის იანვარში. მას ეკუთვნის დაახლოებით ორი ჰექტარი მიწა.

მართვის გამოცდილება

კომპანიის დირექტორი მუშაობდა ნერგების კომპანიაში ამერიკის შეერთებულ შტატებში 9 წლის განმავლობაში, 2003 წლიდან, სადაც მან მოიპოვა განსაკუთრებული გამოცდილება ნერგების წარმოების კუთხით. ის პასუხისმგებელია კოოპერატივის მიერ წარმოებულ ნერგების ხარისხზე და აგრეთვე მომხმარებლებთან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე.

კომპანიის ფინანსურ მენეჯერს აქვს 30 წლიანი გამოცდილება საფინანსო საკითხების დარგში.

აგრეთვე, 9 აგრონომი, რომლებსაც აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობები და ფუნქციები, ჩართულნი არიან ბიზნესის ყოველდღიურ ოპერაციებში.

მარკეტინგი და კონკურენტუნარიანობა

კოოპერატივის სამიზნე ბაზარს წარმოადგენს ქართული ფერმერები, რომლებსაც სურთ ახალი ბალების გაშენება. კოოპერატივის ბაზარი მზარდია: 2013 წელს ნიგოზის ბაღის 100 ჰექტარი იყო დანერგილი კოოპერატივის ნერგების გამოყენებით, 160 ჰექტარი 2014 წელს და 180 ჰექტარი 2015 წელს.

ამ კოოპერატივის პროდუქტების შედარებითი უპირატესობა არის ნერგების ძლიერი ფესვების სისტემა და გაყიდვების შემდგომი მომსახურება ნერგების დანერგვისა და უფასო სოფლის-მეურნეობის კონსულტაციების გაწევის ჩათვლით გასული 4 წლის განმავლობაში.

კრედიტის დანიშნულება

იმისათვის რომ დაკმაყოფილდეს ნერგებზე გაზრდილი მოთხოვნა და გაყიდვების ხელშეკრულებების შესაბამისად, კოოპერატივმა გადაწყვიტა სამუშაო კაპიტალის გაზრდა. ამისთვის კოოპერატივმა გადაწყვიტა სესხის გამოტანა და მიმართა ევოლუქსერს, რომელიც არის ENPARD-ის პროექტის აღმსრულებელი პარტნიორი, იმისათვის რომ მიეღო საჭირო STTA (მოკლევადიანი ტექნიკური დახმარება) ფინანსებზე ხელმისაწვდომობის დარგში, განსაკუთრებით სასესხო აპლიკაციის პროცედურებში.

უზრუნველყოფილი STTA(მოკლევადიანი ტექნიკური დახმარება)

უპირველეს ყოვლისა, სპეციალური სასესხო აპლიკაციის ფორმა იყო შემუშავებული, რომელიც შევსებული იყო კოოპერატივის მიერ. აპლიკაციის ფორმაში ნიკოზის კოოპერატივის მიერ მოყვანილი ინფორმაციის განხილვის და კოოპერატივის დირექტორთან გასაუბრების შედეგად, იყო მიღებული გადაწყვეტილება, რომ კოოპერატივი გადაყვანილ იქნეს შემდეგ ეტაპზე.

ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილების შესაბამისად, იმისათვის, რომ გადამოწმებული იქნეს აპლიკაციის ფორმაში მოყვანილი ინფორმაცია, 8 სექტემბერს, განხორციელდა ადგილმდებარეობის დათვალიერება სოფელ ნოკოზში. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა კოოპერატივის ნერგების მიწები და სავარაუდო უზრუნველყოფის ნივთები და უფრო ზუსტი ინფორმაცია კოოპერატივის საქმიანობაზე, მართვაზე, მარკეტინგზე, საფინანსო მდგომარეობაზე და სესხის საჭიროებაზე იყო მოპოვებული დათვალიერების და დირექტორთან -გიორგი მჭედლიძესთან- და საფინანსო მენეჯერთან - ლალი შუბიტიძესთან -გასაუბრების შედეგად. მოთხოვნილი სესხის დანიშნულება იყო შეფასებული და აგრეთვე ადაპტირებული ბიზნესის პრიორიტეტულ მოთხოვნებთან და აგრეთვე თანხა დარეგულირდა საფინანსო სტატუსის მიხედვით იმისათვის, რომ კოოპერატივმა დააკმაყოფილოს სასესხო მოთხოვნები. კოოპერატივი აგრეთვე უზრუნველყოფილი იყო ტექნიკური დახმარებით (TA) საფინანსო ინსტიტუტთან (FI) კომუნიკაციის განხორციელების დარგში. განსაკუთრებით, მათ გაეწიათ კონსულტაცია, თუ როგორ წარუდგინონ თავიანთი ბიზნესი და საკრედიტო საჭიროება FI-ს(საფინანსო ინსტიტუტს) იმისათვის რომ მიაწოდონ ინფორმაცია პროფესიონალურად, თუ რა იქნებოდა სესხის აღების გარანტი შემდეგ ეტაპებზე, და როგორ შეეცნოთ აპლიკაცია იმისათვის, რომ მიეღოთ იაფი აგრო კრედიტი.

საკრედიტო აპლიკაციისთვის შერჩეული იქნა საქართველოს ბანკი იმიტომ, რომ ის არის ერთ ერთი აქტიური მოთამაშე სოფლის-მეურნეობის საკრედიტო ბაზარზე. საქართველოს ბანკის ბიზნეს კრედიტის დეპარტამენტთან შედგა იმავე დღეს ბანკის გორის ფილიალში. შეხვედრას დაესწრნენ კოოპერატივის საფინანსო მენეჯერი, ევოლუქსერის კონსულტანტი, ბანკის საკრედიტო ექსპერტი და ბანკის ბიზნეს კრედიტის დეპარტამენტის უფროსი. ბანკის წარმომადგენლები გაესაუბრნენ კოოპერატივის ფინანსურ მენეჯერს. მათ აინტერესებდათ კოოპერატივის ბიზნესის იურიდიული სტატუსი, საფინანსო მონაცემები, კრედიტის დანიშნულება და უზრუნველყოფის/გირაოს ვარიანტები. ბანკმა გადაწყვიტა სესხის აპლიკაციის განხილვა და დაგეგმა კოოპერატივის ბიზნესის ადგილმდებარეობის დათვალიერების ვიზიტი.

აგრეთვე, მათ დადეს პირობა, რომ გაარკვევდნენ აკმაყოფილებს თუ არა კოოპერატივი იაფი აგრო სესხის მოთხოვნებს.

დამტკიცებული სესხის პირობები

კოოპერატივმა ნიკოზიმ მიიღო იაპი აგრო კრედიტი სამუშაო კაპიტალის გაზრდისთვის განსაკუთრებით კი 12 000 საძირეების შესყიდვისთვის. სესხის თანხა შეადგენს 15,000 USD, 15 თვის ვადით და სამ თვიანი შეღავათიანი პერიოდით. წლიური საპროცენტო განაკვეთი არის 3%. ამ სესხის უზრუნველყოფილია კოოპერატივის საძირე მიწით (ერთი ჰექტარი) და დირექტორის საკუთარი სახლით. უზრუნველყოფის/გირაოს ნივთები განლაგებულია სოფელ ნოკოზში.

დანართების ჩამონათვალი

დანართი 1: საფინანსო აპლიკაციებისადმი ხელმისაწვდომობა

დანართი 2: საკრედიტო შეთანხმება_ნიკოზი

დანართი 3: შუალედური ანგარიშები

დანართი 4: ბიზნეს პროექტის ფორმა